

„დამტკიცებულია“

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის, სხალთის მთავარეპისკოპოსის სპირიდონის მიერ 2019 წლის 25 იანვრის №01-03/06 ბრძანებით

„განახლებული ვერსია დამტკიცებულია“
2021 წლის 30 ივნისი №01-03/15 ბრძანებით

საქართველოს საპატრიარქოს

წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის

საგანმანათლებლო პროგრამის

სწავლის შედეგების შეფასების წესი და სამიზნე ნიშნულები

ზოგადი დებულებები

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში „ტბელის უნივერსიტეტი“) საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის ძირითადი მიზანია: შედეგების შეფასების გზით სტუდენტის სასწავლო დატვირთვის მისადაგება მისივე აკადემიური მოსწრების საშუალო მაჩვენებელთან.

„ტბელის უნივერსიტეტის“ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ითვალისწინებს სწავლის შედეგების შეფასების პროცედურებს, საგანმანათლებლო პროგრამის რუკის, იგივე სწავლის შედეგების რუკის შედგენის მეთოდებს, განსაზღვრავს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის დადგენის პრინციპებსა და ფორმებს, ასევე სწავლის შედეგების შეფასების გეგმის შედგენას ცალკეული პროგრამისა თუ სასწავლო კურსისათვის.

სწავლის შედეგების შეფასების წესის ცოდნა სავალდებულოა აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის, სტუდენტებისათვის. „ტბელის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და პროგრამის ხელმძღვანელი ერთობლივად ახდენენ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარების პროცესში.

სწავლის შედეგების შეფასება რეკომენდირებულია ხორციელდებოდეს ერთზე მეტი შემფასებლის მიერ.

მნიშვნელოვანია, რომ შედეგების შეფასების შესახებ, თუ რამდენად მიაღწიეს პროგრამის სწავლის შედეგებს, უკუკავშირი სტუდენტებმა მიიღონ გონივრულად რაც შეიძლება მოკლე დროში.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და შედეგების თანხვედრა

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისათვის მნიშვნელოვანია პროგრამის მკაფიოდ და გასაგებად ჩამოყალიბებული მიზნებისა და მისი შესაბამისი პროგრამის სწავლის შედეგების

არსებობა. მიზნები ასახავს თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს მოამზადებს პროგრამა. სწავლის შედეგები აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს და გამომდინარეობდეს პროგრამის მიზნებიდან.

პროგრამის სწავლის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს მისანიჭებელ კვალიფიკაციას და სწავლების საფეხურს, ხოლო რეგულირებადი პროგრამის შემთხვევაში აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იყოს შესაბამისი დარგობრივ მახასიათებელი. სწავლის შედეგი უნდა იყოს გაზომვადი, რაც მისი შეფასების აუცილებელი პირობაა.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს შორის თანხვედრა ასახული უნდა იყოს **პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკაზე**, რომელიც შეიძლება შემდეგი ცხრილის სახით იყოს წარმოდგენილი

პროგრამის მიზნები	სწავლის შედეგები		
	ცოდნა და გაცნობიერება	უნარი	პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

საგანმანათლებლო პროგრამის (კურიკულუმის) ანალიზი

კურიკულუმის ანალიზი საშუალებას იძლევა დავრწმუნდეთ, რომ სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მიაღწიოს აღნიშნულ სწავლის შედეგებს;

საგანმანათლებლო პროგრამის ანალიზისათვის მიზანშეწონილია შედგენს საგანმანათლებლო პროგრამის რუკა. მასში აისახება თუ რომელი სასწავლო კურსებით, აქტივობებითა თუ კვლევითი კომპონენტებით ვითარდება სტუდენტებში პროგრამის სწავლის შედეგები.

კურიკულუმის რუკა შეიძლება გამოვსახოთ ქვემოთ მოცემული ცხრილის სახით.

სასწავლო კურსი	პროგრამის სწავლის შედეგი 1	პროგრამის სწავლის შედეგი 2	პროგრამის სწავლის შედეგი 3	პროგრამის სწავლის შედეგი 4	გრაფა შეიძლება დაემატოს საჭიროებისამებრ

საგანმანათლებლო პროგრამის ანალიზის დროს გასათვალისწინებელია, რომ თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგებში ჩანდეს მათი ურთიერთკავშირი პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)თან, თუ მიგვაჩნია, რომ ესა თუ ის კურსი ავითარებს პროგრამის შესაბამის სწავლის შედეგს. შესაძლებელია ასევე, მიეთითოს, თუ რა დონით ავითარებს ესა თუ ის სასწავლო კურსი პროგრამის სწავლის შედეგებს. მაგალითად:

სასწავლო კურსი	პროგრამის სწავლის შედეგი 1	პროგრამის სწავლის შედეგი 2	პროგრამის სწავლის შედეგი 3	პროგრამის სწავლის შედეგი 4	გრაფა შეიძლება დაემატოს საჭიროებისამებრ

	I				
		II			
			III		

I - გაცნობა; II - გაღრმავება; III - განმტკიცება

საგანმანათლებლო პროგრამის – კურიკულუმის რუკის შედგენას მოსდევს მისი ანალიზი. იგი გულისხმობს დავადგინოთ უზრუნველყოფილია თუ არა სტუდენტებში სწავლის შედეგების განვითარება. ამ დროს მნიშვნელოვანის ყურადღება მივაქციოთ:

- რამდენი სასწავლო კურსი ავითარებს პროგრამის თითოეულ სწავლის შედეგს
- რამდენად ადეკვატურია ეს რაოდენობა;
- ზედმეტად ბევრი სასწავლო კურსი ხომ არ ავითარებს ერთსა და იმავე სწავლის შედეგს ან პირიქით;
- ხომ არ გვაქვს ისეთი სავალდებულო სასწავლო კურსი პროგრამაში, რომელიც პროგრამის არც ერთ სწავლის შედეგს არ ავითარებს;
- ხომ არ არის პროგრამაში ისეთი სწავლის შედეგი, რომელსაც არც ერთი სასწავლო კურსი ან/და სხვა აქტივობა არ ავითარებს;

მნიშვნელოვანია, რომ თითოეული სწავლის შედეგი განვითარდეს სამივე დონეზე, ანუ: გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება გამოსაზღვროს სწავლის ყველა შედეგისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა

სწავლის შედეგების შეფასების გეგმა ასახავს თუ როგორ შეფასდება პროგრამის სწავლის შედეგები პროგრამის დასასრულს

მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შეფასდეს იმ სასწავლო კურს(ებ)ში, რომლებშიც კურიკულუმის რუკის მიხედვით ხდება პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)ის განმტკიცება. შესაძლებელია ერთ სასწავლო კურსში პროგრამის რამდენიმე სწავლის შედეგი შევაფასოთ.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისათვის აუცილებელია განისაზღვროს პროგრამის სწავლის შედეგებისა და სასწავლო კურსების ურთიერთმიმართება (კურიკულუმის რუკა), ანუ რომელი სასწავლო კურსებით, აქტივობებითა თუ კვლევითი კომპონენტებით ვითარდება სტუდენტებში პროგრამის ესა თუ ის სწავლის შედეგები. ეს კავშირი პროგრამის შედეგებსა და სასწავლო კურსებს შორის შეიძლება გამოვსახოთ ქვემოთ მოცემული (სასურველია ექსელის) ცხრილის სახით.

კავშირი პროგრამის სწავლის შედეგებსა და სასწავლო კურსებს შორის												
სწავლის შედეგი		სასწავლო კურსების ნომრები პროგრამის მიხედვით										
A	ცოდნა და გაცნობიერება											
B	უნარი											

C	პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა												

სწავლის შედეგების შეფასების კრიტერიუმები და მეთოდები

სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას მხედველობაში მიიღება მათი შეფასების კრიტერიუმები და მეთოდოლოგია. სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება **პირდაპირი** და **არაპირდაპირი მეთოდები**.

- ❖ პირდაპირი შეფასების მეთოდად განიხილება სტუდენტის კომპეტენციათა შეფასება მის მიერ შესრულებული დავალების მეშვეობით, რითაც მოწმდება, მიაღწია თუ არა სტუდენტმა პროგრამის სწავლის შედეგს. ეს შეიძლება იყოს წერიითი გამოცდა, ზეპირი გამოკითხვა, ესე, ტესტირება, პროექტი, პორტფოლიო, რეფერატი, პრეზენტაცია, იმიტირებული პროცესი, საველე გამოცდილებისას ან პრაქტიკის დროს ზედამხედველის მიერ სტუდენტის შეფასება და ა.შ.
- ❖ არაპირდაპირი შეფასების მეთოდებია - დამსაქმებლის მიერ სტუდენტის შეფასება, კურსდამთავრებულების, სტუდენტების გამოკითხვა და სხვა. კურსდამთავრებულის ან სტუდენტის თვითშეფასებითი კითხვარის მომზადების დროს მნიშვნელოვანია კითხვარში ჩანდეს შესაფასებელი შედეგის/შედეგების ჩამონათვალი, რომელთა გასწვრივ კურსდამთავრებულმა/სტუდენტმა უნდა დააფიქსიროს/შეაფასოს საკუთარი კომპეტენცია, თუ რა დონეზე მიაღწია ამა თუ იმ სწავლის შედეგს. ამგვარივე წესით დგება დამსაქმებლების მიერ სტუდენტის შესაფასებელი კითხვარი.

**პროგრამის სწავლის შედეგების არაპირდაპირი შეფასება
სტუდენტის თვითშეფასების კითხვარი (ნიმუში)**

პროგრამა		თარიღი.....		
№	სწავლის შედეგები	შეფასების ინდიკატორები		
		მაღალი (H – high)	საშუალო (M – medium)	დაბალი (L – low)

აღწერეთ რა სახის უნარისა და ცოდნის მიღება დაგჭირდათ პროგრამის დასრულების შემდგომ თქვენი პროფილით, როგორ და რა ფორმით მიიღეთ, შეივსეთ აღნიშნული ცოდნა

სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და სამიზნე ნიშნული

სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი გულისხმობს შედეგის შესამოწმებელი კონკრეტულ დავალებას, შემფასებლის ვინაობისა და შეფასების დროის მითითებას. სასურველია დავალების შესაფასებლად რუბრიკის/რუბრიკების გამოყენება, რაც შედეგების შეფასების გეგმას თან უნდა ერთვოდეს.

შეფასების თანმიმდევრულობა განისაზღვრება სასწავლო კურსების თანმიმდევრობით, რაც გაწერილია სასწავლო გეგმაში და ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას.

სტუდენტი წინასწარ უნდა იყოს ინფორმირებული შეფასების კრიტერიუმების, ფორმატისა და დროის შესახებ.

მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებაში დავეყრდნოთ სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს, სასწავლო-საწარმოო პრაქტიკას და შეფასების სხვა მეთოდებს, რაც აისახება სწავლების შედეგების შეფასების გეგმაში.

ასევე უნდა განისაზღვროს სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა. **შესაძლებელია ეს განხორციელდეს სასწავლო კურსის ბოლოს, განსაკუთრებით კი საგანმანათლებლო პროგრამის დასასრულს.** პერიოდულობის სხვა სიხშირე განისაზღვრება სასწავლო კურსებისა თუ საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის შესაბამისად. მნიშვნელოვანია, რომ განხორციელებული შეფასება იყოს სანდო და გამჭვირვალე.

„ტბელის უნივესიტეტი“ აღნიშნული მიზნის მისაღწევად მიმართავს შემდეგ მექანიზმებს:

1. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი და პროგრამის დამლევაში მათი პროგრესის მაჩვენებლის დადგენა.
 - 1.1. აკადემიური მოსწრების მონიტორინგი ტარდება ცალკეული სტუდენტისა და სასწავლო კურსის მიხედვით, სადაც განისაზღვრება სასწავლო კურსის შედეგების დამლევის კონკრეტული პროცენტული მაჩვენებლები – A, B, C, D, E, FX და F შეფასებების მიხედვით;
 - 1.2. აკადემიური მოსწრების შეფასების ანალიზით განისაზღვრება პროგრამაზე არსებული სტუდენტების საერთო რაოდენობიდან რამდენმა პროცენტმა რა დონეზე მიაღწია თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგს;
 - 1.3. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების განზოგადებული ანალიზის შედეგები ქვეყნდება დიაგრამების სახით, სასწავლო კურსების და შეფასებების განაწილების მიხედვით;
 - 1.4. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზით „ტბელის უნივესიტეტი“ ადგენს სასწავლო კურსის პროგრამის შინაარსის ათვისების დონეს (A,B,C,D,E შეფასებების პროცენტული მაჩვენებლები), რის მიხედვითაც განიხილება და საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება:
 - სასწავლო კურსის შინაარსის ცვლილება,
 - სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობა,
 - სწავლა-სწავლების მეთოდები,
 - შეფასების ფორმებიასევე, სხვა საკითხები, რომლებიც შესაძლოა პირდაპირ თუ ირიბად გავლენას ახდენდნენ სტუდენტთა აკადემიურ მაჩვენებელზე.

2. „ტბელის უნივერსიტეტი“ სტუდენტის აკადემიური დატვირთვის საშუალო დონის განსაზღვრის მიზნით ეყრდნობა კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემაში (ECTS) შემუშავებულ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების დიფერენცირების შკალას, სადაც სტანდარტული ნორმალური განაწილების დიაპაზონებია:

შეფასების დიაპაზონი	სტუდენტთა %-ლი რაოდენობა
„A“ - ფრიადი	10%
„B“ - ძალიან კარგი	25%
„C“ - კარგი.	30%
„D“ - დამაკმაყოფილებელი.	25%
“E” - საკმარისი.	10%

3. აღნიშნული შკალის ცალკეული შეფასების დიაპაზონის პროცენტული ზღვარი წარმოადგენს სწავლების შედეგების სამიზნე ნიშნულებს. სადაც
- 3.1. **მაღალ** აკადემიურ მოსწრებად ითვლება სტუდენტთა საერთო რაოდენობის 10 %, ანუ „A“ - ფრიადი
- 3.2. **საშუალო** აკადემიურ მოსწრებად ითვლება
 „B“ - ძალიან კარგი, რაც სტუდენტთა საერთო რაოდენობის 25%-ს შეადგენს
 „C“ - კარგი, რაც სტუდენტთა საერთო რაოდენობის 30%-ს შეადგენს
 „D“ - დამაკმაყოფილებელი, რაც სტუდენტთა საერთო რაოდენობის 25%-ს შეადგენს
- 3.3. **დაბალ** აკადემიურ მოსწრებად ითვლება სტუდენტთა საერთო რაოდენობის 10 %, ანუ “E” -საკმარისი.
4. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მოცემული დიფერენცირების შკალა წარმოადგენს სამიზნე ნიშნულს, რომლის თანმხვედრი აკადემიური მოსწრება შეიძლება ჩაითვალოს სტანდარტულ ნორმალურ განაწილებად. შესაბამისად პროგრამის (შესაბამისად სასწავლო კურსების) სწავლის შედეგებიც შეიძლება ჩაითვალოს სტუდენტის საშუალო დონის თანმხვედრად.
5. სტანდარტული ნორმალური განაწილების დიაპაზონიდან (იხ.: მეორე მუხლი) 20%-იანი გადახრის შემთხვევაში გადაიხედება: სასწავლო კურსის მოცულობა; სწავლება-სწავლის მეთოდები; სასწავლო კურსის შინაარსი; შეფასების ფორმები, კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები; საგამოცდო ფორმატი; ჯგუფებში სტუდენტთა რაოდენობა და სხვა საკითხი, რომლების პოტენციურად გავლენას ახდენენ სტუდენტის მხრიდან შედეგის მიღწევაზე.
6. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისა და სამიზნე ნიშნულების უმთავრესი დასაყრდენი და მეთოდოლოგიური საფუძველია სტუდენტის შეფასების ობიექტურობის მაჩვენებელი, ისე, რომ რაც მეტია შეფასების ობიექტურობაში ცდომლება, მით მეტია ალბათობა, იმისა რომ პროგრამის სწავლების შედეგების სამიზნე ნიშნულების მიხედვით შეფასებაც პროპორციულად მცდარი იქნება.
7. შეფასების ობიექტურობის მისაღწევად უნივერსიტეტში გამოყენებულია მრავალკომპონენტური შეფასება, მათ შორის წერიტი/ზეპირი გამოცდა/გამოკითხვა, პრეზენტაცია, რეფერატი, პრაქტიკული პროექტი და სხვა, ასევე არაპირდაპირი შეფასება, კერძოდ: კურსდამტავრებულთა გამოკითხვა, დამსაქმებელთა გამოკითხვა, სილაბუსის

შეფასება, სტუდენტთა გამოკითხვები (წერილობითი და ზეპირი გასაუბრებების ფორმით) აკადემიური მოსწრების განმაპირობებელ გარემოებებთან დაკავშირებით.

8. სწავლის შედეგების შეფასება პერიოდულია და ხორციელდება ყოველი სასწავლო კურსის დასრულების შემდგომ, უმთავრესად სემესტრის ბოლოს, როცა ხდება სწავლის შედეგის მიღწევა.
9. სწავლის შედეგების განხილვა და სამიზნე ნიშნულთან შედარება
 - 9.1. სწავლის შედეგების განხილვა ხდება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზის საფუძველზე, რაც გულისხმობს სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულთან შესაბამისობების დადგენას.
 - 9.2. სწავლის შედეგებზე რეაგირება ითვალისწინებს:
 - ა) სამიზნე ნიშნულთან მიმართებაში რეგრესის გამოვლენის შემთხვევაში, მიზეზ-შედეგობრივი კავშირის კვლევას I კუნქტის 1.4. ქვეკუნქტის შესაბამისად,
 - ბ) სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულების მიღწეის გზების განსაზღვრას.

სწავლის შედეგების შეფასების გეგმის შედგენის ინსტრუქცია

სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, ზოგადად, სწავლის შედეგების შეფასების ძირითად დოკუმენტს წარმოადგენს. აღნიშნული გეგმის თანმიმდევრული განხორციელება არის სწავლის შედეგების შეფასების დასკვნითი ფაზა და ინდიკატორი, რითაც დგინდება და იზომება არის თუ არა პროგრამის სწავლის შედეგები ადექვატური, არა მხოლოდ მასში შემავალ სასწავლო კურსებთან, არამედ კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებთან მიმართებაში. ამ გეგმით, ასევე, დასტურდება განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

პროგრამის/სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა მოიცავს:

- ✓ სწავლის შედეგის დასახელებას,
- ✓ შედეგის შესაფასებლად განსაზღვრულ მეთოდს (პირდაპირი და არაპირდაპირი),
- ✓ შეფასების დროს,
- ✓ სამიზნე ნიშნულებს.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება შესაბამისობაში უნდა იყოს დარგის სპეციფიკასთან, ეყრდნობოდეს შეფასების ადექვატურ ფორმებსა და მეთოდებს. თითოეული სწავლის შედეგის შეფასებისთვის გამოყენებული უნდა იყოს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები.

სწავლის შედეგების შეფასების გეგმა შესაძლებელია ცხრილის სახით შემდეგი სახის იყოს

სწავლის შედეგების შეფასების გეგმა			
სწავლის შედეგი	შეფასების მეთოდი	დრო	სამიზნე ნიშნული
	პირდაპირი შეფასება		
	არაპირდაპირი შეფასება		

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმის შედგენა ხდება კურიკულუმის რუკის მიხედვით. შედეგების შეფასებას ახორციელებს პროგრამის ხელმძღვანელი, სხვა აკადემიურ პირებთან ერთად, ასევე მასში ჩართული შეიძლება იყონ: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ფაკულტეტის დეკანი და დაინტერესებული მხარეები.

შეფასების უკუკავშირი

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისა გამიზნულია სტუდენტის მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დონის სამიზნე ნიშნულებთან დადარებისა და შედეგების ანალიზის მიზნით. შეფასების შედეგების ანგარიში, რომელსაც ამზადებს პროგრამის განვითარების ჯგუფი, ხელმისაწვდომი ხდება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის – განსაკუთრების ფაკულტეტის საბჭოსათვის, რომელიც განიხილავს მას და კოლეგიალური წესით განსაზღვრავს პროგრამის განვითარების შესაბამის ღონისძიებებს.